ბრძანება

N 04/288

288-01-4-201710201912

20/10/2017

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება სს „კონდოტე დაკვას“ 2017 წლის 4 სექტემბრის საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1. პროცედურული და ფაქტობრივი გარემოებები

2017 წლის 4 სექტემბერს, საქართველოს კონკურენციის სააგენტოში (შემდგომში „სააგენტო“) წარმოდგენილ იქნა სს ,,კონდოტე დაკვას“ საჩივარი (რეგ. №01/751) „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის დარღვევის შესახებ. საჩივარში აღნიშნულია, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (შემდგომში - „გზების დეპარტამენტი“) დაარღვია კონკურენციის შესახებ კანონის მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

2017 წლის 5 სექტემბრის N02/1302 წერილით, სააგენტომ მომჩივანს აცნობა საჩივარში არსებული ხარვეზის შესახებ. კერძოდ, საჩივარში არ იყო მითითებული კომპანიისადმი მიყენებული ზიანის შესახებ ინფორმაცია. 2017 წლის 11 სექტემბრის N01/881 განცადებით (დამატებითი განმარტების წარმოდგენის თაობაზე), მომჩივანმა გამოასწორა ხარვეზი და დამატებით წარმოადგინა სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

როგორც მომჩივანის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან დგინდება, 2016 წლის 10 თებერვალს საქართველოს სახელმწიფოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის (შემდგომში - IBRD) დაიდო სესხის ხელშეკრულება (№8547-GEGE), რომლის საფუძველზეც IBRD-მა საქართველოს გამოუყო 140 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით სესხი იმ მიზნით, რომ უზრუნველეყო „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის ზემო ოსიაურიდან 5.8 კმ-დან ჩუმათელეთამდე 13.8 კმ ჩათვლით, დაახლოებით 8 კილომეტრიან მონაკვეთზე არსებული ორზოლიანი გზის გაუმჯობესება ოთხზოლიან მაგისტრალად“.

სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად, საქართველომ აიღო ვალდებულება სასესხო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, აღნიშნული

სასესხო ხელშეკრულებით განსაზღვრული პროექტისა და სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად შესყიდვების პროცედურის განხორციელებაზე. სასესხო ხელშეკრულების „განრიგი 2“ ნაწილი მე-3 განსაზღვრავს პროექტის ფარგლებში შესყიდვების განხორციელების პროცედურას. კერძოდ, აღნიშნული ნაწილის „ა“ ნაწილის პირველი პუნქტის შესაბამისად, პროექტისათვის საჭირო ყველა საქონელი, სამუშაოები და არასაკონსულტაციო მომსახურება, რომელთა დაფარვა მოხდება სესხიდან, იქნება შესყიდული „შესყიდვების სახელმძღვანელოს“ (Procurement Guidelines) პირველი ნაწილის მოთხოვნების და წინამდებარე ნაწილის დებულებების თანახმად, ხოლო მე-3 ნაწილის „ბ“ ნაწილის შესაბამისად, საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა უნდა მომხდარიყო საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე (International Competitive Bidding).

სასესხო ხელშეკრულების დანართში განსაზღვრულია ტერმინთა განმარტებები, რომლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, „შესყიდვების სახელმძღვანელო“ (Procurement Guidelines) ნიშნავს „სახელმძღვანელოს: საქონლის, სამუშაოების და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვას მსოფლიო ბანკის მსესხებლების მიერ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხების და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში“, დათარიღებულს 2011 წლის იანვრით (შესწორებული – ივლისი, 2014). („Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-consulting under IBRD Loans and IDA Credits and Grants by World Bank Borrowers“ dated January 2011 (revised July 2014) (შემდგომში - დონორის შესყიდვის სახელმძღვანელო (Procurement Guidelines)).

ამდენად, პროექტის ფარგლებში სამუშაოების შესყიდვა განხორციელდა დონორის შესყიდვის სახელმძღვანელოს (Procurement Guidelines) შესაბამისად, ხოლო ტენდერისა და წინასატენდერო მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზება დაევალა გზების დეპარტამენტს.

გზების დეპარტამენტმა პირველ ეტაპზე ზოგადი ელექტრონული შეტყობინება განათავსა აღნიშნული პროექტისთვის, რომელიც გამოცემულია ელექტრონულად 2015 წლის 28 ივლისის ბიზნესის განვითარების No. WB3467-07/15-ში (კონკრეტული შეტყობინება შესყიდვის შესახებ), ხოლო შემდგომ საკუთარ ვებგვერდზე განათავსა შეტყობინება პრეკვალიფიკაციაზე მოწვევასთან დაკავშირებით.

ტენდერში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს სხვადასხვა კომპანიებმა, მათ შორის ერთერთი იყო სს „კონდოტე დაკვა“, რომელმაც გადალახა პრეკვალიფიკაციის ეტაპი და შერჩეულ იქნა ერთ-ერთ მონაწილედ, ასევე ჩინეთის რკინიგზა (China Railway) და იტალიური Astaldi/Serenissima - კომპანიების ასტალდისა და სერენისიმას ამხანაგობა, რომლებმაც ტენდერში ერთობლივი განაცხადი გააკეთეს.

საუკეთესო შეთავაზება ლოტ 2-თან (კმ 5+800~კმ 14+050) მიმართებით, ჩინეთის რკინიგზამ გააკეთა, მაგრამ საბანკო გარანტიის ვადის გაუგრძელებლობის მიზეზით, კომპანია ტენდერს გამოეთიშა. შემდეგ, მეორე საუკეთესო წინადადება იტალიური ერთობლივი ამხანაგობა Astaldi/Serenissima-ს მიერ იქნა წარმოდგენილი. ხოლო მესამე ადგილას მყოფი კომპანია გახლდათ სს „კონდოტე დაკვა“.

ლოტი 2-ისთვის პრეკვალიფიკაცია განხორციელდა პრეკვალიფიკაციის პროცედურების მიხედვით, რომელიც როგორც ზემოთ აღინიშნა, განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში: შესყიდვები IBRD სესხების და IDA კრედიტების ფარგლებში („GUIDELINES PROCUREMENT OF GOODS, WORKS, AND NON-CONSULTING SERVICES UNDER IBRD LOANS AND IDA CREDITS & RANTS BY WORLD BANK BORROWERS “).

2017 წლის ივნისში იტალიური ერთობლივი ამხანაგობის ერთერთი მონაწილე Serenissima ნებაყოფლობით ლიკვიდაციას დაექვემდებარა. ამხანაგობას, ამის შესახებ გზების დეპარტამენტისათვის ინფორმაცია არ მიუწოდებია. არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ“ აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია მოიძია და შემდგომ წერილით შეატყობინა გზების დეპარტამენტს. გზების დეპარტამენტმა IBRD-ს აცნობა მომხდარის შესახებ, ასევე წერილში მიუთითა, რომ როგორც გაირკვა, ლიკვიდაციის პროცესი მხოლოდ სატენდერო წინადადების წარდგენის თარიღის შემდეგ დაიწყო. როგორც საჩივრის დანართებიდან ირკვევა, IBRD-ის წარმომადგენელმა აღნიშნულ წერილზე მოახდინა რეაგირება და განაცხადა, რომ ამხანაგობა ერთად აღარ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, მაგრამ განხორციელებული სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე შპს „ასტალდი“ დამოუკიდებლად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამისად, როგორც გამონაკლისი, ბანკი მზად არის განიხილოს გზების დეპარტამენტის რეკომენდაცია ხელშეკრულების მინიჭების თაობაზე მხოლოდ შპს „ასტალდისთვის“ და ასევე, მზად არის მიიღოს განახლებული „სატენდერო შეთავაზების შეფასების ანგარიში“, საბოლოო თანხმობის მისაცემად.

2017 წლის 2 აგვისტოს წერილით, რომელიც მოიცავდა დანართს განახლებული „სატენდერო შეთავაზების შეფასების ანგარიშის“ შესახებ გაეგზავნა IBRD-ის წარმომადგენელს და შპს „ასტალდი“ გამარჯვებულად გამოცხადდა.

- *მომჩივანის პოზიცია ტენდერში მის გამარჯვებასთან დაკავშირებით*

იტალიური კომპანია სს „კონდოტე დაკვა“, რომელიც რიგით მესამე ადგილს იკავებდა ტენდერის მსვლელობის პროცესში, აცხადებს, რომ გზების დეპარტამენტმა დაარღვია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკრძალებათ ისეთი საგადასახადო ან სხვა სახის შეღავათების დაწესება ეკონომიკური აგენტებისთვის, რომელიც მას კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას მიანიჭებს და შეზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სს „კონდოტე დაკვას“ წარმომადგენელი საეჭვოს ხდის შპს „ასტალდის“ კეთილსინდისიერების საკითხს, რადგან კომპანიამ არ ჩათვალა საჭიროდ გზების დეპარტამენტისათვის ინფორმაციის მიწოდება ამხანაგობის წევრის ლიკვიდაციის თაობაზე მაშინ, როდესაც სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად „თუკი კონტრაქტორი წარმოადგენს ამხანაგობას, მაშინ კონტრაქტორმა არ უნდა შეცვალოს საკუთარი

შემადგენლობა ან სამართლებრივი სტატუსი დამსაქმებლის წინასწარი თანხმობის გარეშე“ (მუხლი 1.14.c). მომჩივანის პოზიციით, ამ დანაწესის საპირისპიროდ ამხანაგობა Astaldi/Serenissima-მ გზების დეპარტამენტის წინასწარი თანხმობის გარეშე შეიცვალა შემადგენლობაც და სამართლებრივი სტატუსიც, ვინაიდან ერთ-ერთი მონაწილის გარეშე ამხანაგობის ხელშეკრულება ძალას კარგავს. სს „კონდოტე დაკვას“ წარმომადგენლის განცხადებით Bidding Documents-ის 3.1. მუხლის თანახმად პრეტენდენტმა უნდა განაგრძოს შესაბამისობა იმ მოთხოვნებთან, რომელიც მოქმედებდა პრეკვალიფიკაციისას (“The Bidder shall continue to meet the criteria used at the time of prequalification”). Bidding Documents-ის 37.1. მუხლის თანახმად კი, დამსაქმებელმა უნდა შეამოწმოს, რამდენად შეესაბამება პრეტენდენტი პრეკვალიფიკაციისა და პოსტკვალიფიკაციის ეტაპზე დადგენილ მოთხოვნებს.

არგუმენტაციის გასამყარებლად, მომჩივანს მოჰყავს მაგალითი შპს „ასტალდის“ საქმიანობიდან და აპელირებს მის არასანდოობაზე. შესაბამისად, სს „კონდოტე დაკვას“ წარმომადგენლისთვის გაუგებარია, თუ რატომ მოხდა ამ კომპანიის გამარჯვება ტენდერში, რომელიც, მისი თქმით, ვერ აკმაყოფილებდა ამხანაგობის დაშლის შემდეგ არსებულ კრიტერიუმებს.

სს „კონდოტე დაკვას“ წარმომადგენლების მოსაზრებით, ოფერტისა და აქცეპტის სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით, ოფერენტის პოზიციაში გამოვიდა ამხანაგობა და არა განცალკევებით შპს „ასტალდი“, რაც ასევე გამორიცხავს მისი მონაწილეობით ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას.

დეპარტამენტის პოზიციას, რომ შეუძლებელია სს „კონდოტე დაკვა“ საუბრობდეს რაიმე სახის ზიანზე, წარმომადგენლების მოსაზრებით არ აქვს საფუძველი, რადგან „მონაწილის ზიანი არა მხოლოდ დამარცხებაა, არამედ ისიც, რომ მას არ მიეცა საშუალება კანონის დაცვით ჩატარებულ ტენდერში მიეღო მონაწილეობა“.

„კონდოტე დაკვას“ პოზიციით, ადმინისტრაციულმა ორგანომ თანაბრად უნდა უზრუნველყოს ყველა მონაწილის მიმართ კანონისა და სატენდერო რეგულაციების გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გამოიწვევს კონკურსის სხვა მონაწილის ჩაყენებას არახელსაყრელ პირობებში, რომელსაც კანონმდებლობის აღსრულების პირობებში გამარჯვების რეალური შანსი ექნებოდა. ასევე, „შესყიდვები IBRD სესხების და IDA კრედიტების ფარგლებში“ სახელმძღვანელოს თანახმად, „წარმატებულ შეფასებას უნდა მოყვეს ხელშეკრულების ტენდერის მონაწილისათვის მინიჭება. უარყოფით შეფასებას შედეგად უნდა მოყვეს წინადადების დისკვალიფიკაცია, რა შემთხვევაშიც დამსაქმებელმა უნდა აირჩიოს შემდგომი ყველაზე დაბალი წინადადება, რათა მის მიმართაც მოახდინოს საკვალიფიკაციო კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემოწმება“.

- *მოპასუხის პოზიცია სს „კონდოტე დაკვას“ საჩივართან მიმართებით*

საჩივრის საპასუხო წერილში, გზების დეპარტამენტი (N01/861, 27.09.2017) უთითებს, რომ ის მომჩივნის მიმართ კონკურენციის კანონს ვერ დაარღვევდა, რადგან ტენდერი წარიმართა დონორის შესყიდვის სახელმძღვანელოს (Procurement Guidlines) პროცედურის დაცვით, ბანკთან შეთანხმებულ იქნა ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის მშენებლობის (ლოტი 1 (კმ 0+000 კმ 5+800) და ლოტი 2 (კმ 5+800 კმ 14+050))

საერთაშორისო ტენდერთან (EWHCIP/CW/ICB-01) დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, მათ შორის ხელშეკრულების შესაბამისი პრეტენდენტისათვის მინიჭების საკითხი და შესაბამისად, დეპარტამენტმა მიიღო ბანკისგან თანხმობა (no objection) ტენდერის ყველა ეტაპზე.

აქედან გამომდინარე, პროექტის ფარგლებში სამუშაოების შესყიდვა განხორციელდა დონორის შესყიდვის სახელმძღვანელოს (Procurement Guidelines) შესაბამისად. დონორის შესყიდვის სახელმძღვანელოს (Procurement Guidelines) პირველი ნაწილის 1.13 პუნქტის (Bank Review) მიხედვით, ბანკი განიხილავს მსესხებლის შესყიდვის პროცედურას, დოკუმენტებს, წინადადების შეფასებას, ხელშეკრულების მინიჭების რეკომენდაციებს და ხელშეკრულებას, იმისთვის რომ დარწმუნდეს, რომ პროცესი განხორციელდა შეთანხმებული პროცედურების შესაბამისად. დონორის შესყიდვის სახელმძღვანელოში (Procurement Guidelines) განსაზღვრულია წინასწარი განხილვის (Prior Review) პროცედურა, რაც მოიცავს მსესხებლის ვალდებულებას, ამ შემთხვევაში, საქართველოს ვალდებულებას, რომელიც პროექტს ახორციელებს დეპარტამენტის მეშვეობით, დაიცვას წინასწარი შეთანხმების (Prior Review) პროცედურა, როგორც წინასწარი საკვალიფიკაციო შერჩევის (პრეკვალიფიკაცია) (prequalification) ეტაპზე, ასევე სატენდერო წინადადებაზე მოწვევისას. ამასთან, მსესხებელმა ყველა დოკუმენტთან დაკავშირებით უნდა მიიღოს ბანკის თანხმობა (no objection), მანამ, სანამ გამოიცემა/გაეგზავნება აღნიშნული დოკუმენტები პრეტენდენტებს. დეპარტამენტის მიერ ტენდერის რომელიმე ეტაპისა და ტენდერის პროცედურის დარღვევა გამოიწვევდა დონორის შესყიდვის სახელმძღვანელოს (Procurement Guidelines) პირველი ნაწილის 1.14 პუნქტით განსაზღვრულ შესყიდვის პროცედურის არასწორ წარმართვას (Misprocurement), შესაბამისად, ბანკს შეეძლო უარი განაცხადებინა სესხის თანხის გამოყოფაზე.

გზების დეპარტამენტმა ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დეპარტამენტმა Astaldi S.p.A-სა და დეპარტამენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების მოწონების მიზნით მიმართა საქართველოს მთავრობას. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 4 სექტემბრის №1857 განკარგულებით მოწონებულ იქნა დეპარტამენტსა და Astaldi S.p.A-ს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი. 2017 წლის 6 სექტემბერს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის მეორე ლოტის - კმ 5+800 კმ 14+050 მშენებლობის თაობაზე.

გზების დეპარტამენტს საჩივრის პასუხად, მაგალითისთვის წარმოდგენილი აქვს, „კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 22 ნოემბრის №213 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, სადაც საუბარია „დონორების დაფინანსებით გამოცხადებული ტენდერების სპეციფიკაზე“ და მითითებულია, რომ აღნიშნული ტენდერი მიმდინარეობდა დონორის წესების შესაბამისად.

გზების დეპარტამენტი მიუთითებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მსჯელობა განვითარებულია შემდეგი სახით „სააგენტო აღნიშნავს, სუბიექტის კონკრეტული ქმედება კონკურენციის კანონის მე-10 მუხლის დარღვევად რომ შეირაცხოს,

მას უნდა გააჩნდეს აღნიშნული ქმედების დამოუკიდებლად განხორციელების საშუალება. აქედან გამომდინარე, მიზანშეუწონელია მე-10 მუხლის დარღვევაზე საუბარი იქ, სადაც შესაბამისი სახელმწიფო ხელისუფლებისა თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო დამოუკიდებლად ვერ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და აღნიშნული გადაწყვეტილება (ამ შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციის შინაარსის განსაზღვრა) მთლიანად დამოკიდებულია გარეშე პირზე - დონორზე. ამდენად სააგენტო თვლის, რომ დონორის სახსრებით ჩატარებულ DEP160000054 ტენდერში ვერ მოხდებოდა სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ კონკურენციის კანონის მე-10 მუხლის დარღვევა.". „კონდოტე დაკვას" საჩივარშიც, საუბარია სწორედ დონორის სახსრებით გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში, დეპარტამენტის მიერ „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის დარღვევაზე.

დეპარტამენტმა განიხილა საჩივარში დასმული ყველა საკითხი და მასთან დაკავშირებით გააჩნია შენიშვნები და მოსაზრებები. აღნიშნულ შენიშვნებსა და მოსაზრებებში ასახულია ბანკისა და დეპარტამენტის მიმოწერა და ტენდერის შეთანხმების ყველა პროცედურა. შესაბამისად, მისი წარმოდგენის შემთხვევაში დეპარტამენტმა მის შენიშვნებსა და მოსაზრებებს უნდა დაურთოს ბანკთან არსებული მიმოწერა. ამ შემთხვევაში, დეპარტამენტი არ მოქმედებს დამოუკიდებლად. ბანკთან არსებული მიმოწერა და შეთანხმების პროცედურა არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, ვინაიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესრულებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან. გზების დეპარტამენტის მიერ ასევე ხაზგასმულია, რომ სს „კონდოტე დაკვას" მიერ საჩივარზე დართული დოკუმენტები ბანკისა და დეპარტამენტის მიმოწერის შესახებ, არ ყოფილა დეპარტამენტიდან გამოთხოვილი, აღნიშნული დოკუმენტაცია არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციის კატეგორია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით და აღნიშნული მიმოწერა მომჩივანს მოპოვებული აქვს არაკეთილსინდისიერად და დეპარტამენტისათვის დაუდგენელი წყაროდან.

დეპარტამენტი ასევე განმარტავს, რომ სს „კონდოტე დაკვას" მიერ შემოთავაზებული ფასი ამხანაგობა ასტალდი/სერენისიმას მიერ შემოთავაზებულ ფასს აღემატებოდა 137,787,365 ლარით. შესაბამისად, ერთობლივი საწარმოს ალსტადი/სერენისიმას დისკვალიფიკაციის შემთხვევაში არ არსებობდა ვალდებულება, რომ გამარჯვებულად გამოეცხადებინათ სს „კონდოტე დაკვა". პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია არ ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრულება ავტომატურად ენიჭება შემდგომ პრეტენდენტს. დეპარტამენტს ნებისმიერ დროს შეეძლო ჩაეშალა ტენდერი. ამასთან, სატენდერო წერილში (Letter of Bid), ყველა პრეტენდენტი ხელმოწერით ადასტურებს თანხმობას, რომ შემსყიდველი არ არის ვალდებული კონტრაქტი მიანიჭოს შეფასების შედეგად უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტს ან ნებისმიერ სხვა წინადადებას, რომელიც მან შეიძლება მიიღოს (Letter of Bid, para. "n"). შესაბამისად, დეპარტამენტის მტკიცებით, შეუძლებელია რომელიმე პრეტენდენტს რაიმე სახის ზიანი მიადგეს დეპარტამენტის ქმედებით და მას ჰქონდეს

რაიმე სახის სამომავლო ინტერესი ან მოლოდინი ტენდერის მიმართ. დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ასევე განაცხადეს, რომ სადაო ტენდერის შესრულება უკვე დაწყებულია და კომპანია ასრულებს მასზე დაკისრებულ მდგომარეობას.

2. საქართველოს კანონმდებლობა

ა) მატერიალური მხარე

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-2 მუხლის თანახმად, კანონის მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა. კანონის მე-16 მუხლის თანახმად, კონკურენციის პოლიტიკის განსახორციელებლად იქმნება სააგენტო, მე-17 მუხლით კი დგინდება სააგენტოს საქმიანობის პრინციპები კერძოდ: დამოუკიდებლობა, არადისკრიმინაციულობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. აღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარე, სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მისი გადაწყვეტილება საჯარო უნდა იყოს.

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს ასევე შეუძლია ეკონომიკურ აგენტს მოსთხოვოს განხორციელებული ქმედების ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, სხვა ქმედებებთან ერთად, ეკრძალებათ:

ბ) ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათების დაწესება, რომლებიც მას კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ამ კანონის დარღვევის შემთხვევაში წარუდგინოს დასაბუთებული წერილობითი დასკვნა და შესაბამისი რეკომენდაცია ამ ორგანოს მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების თაობაზე, მათ შორის, მოსთხოვოს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი დასვას შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე.

„საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანების (შემდგომში „საქმის მოკვლევის წესი“) მე-2 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან განცხადების/საჩივრის საფუძველზე, საქმის მოკვლევა

დაიწყოს. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

ბ) პროცედურული მხარე

კანონის 22-ე მუხლის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელმაც საჩივართან ერთად სააგენტოს მტკიცებულებები უნდა წარუდგინოს. მომჩივანი არის ეკონომიკური აგენტი, რომელსაც მიაჩნია, რომ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შედეგად, ქონებრივი ზიანი ადგება, რაზედაც შესაბამისი საჩივრით სააგენტოს მიმართავს. მომჩივანი მხარედ განიხილება და მტკიცების ტვირთი ეკისრება.

კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტო საჩივრის მიღებიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, საჩივრის დასაშვებობის საკითხს სწავლობს. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სააგენტოს უფლება აქვს, მომჩივანს დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარდგენა მოსთხოვოს და წარდგენის ვადა განუსაზღვროს. ამავდროულად, საქმის მოკვლევის წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მხარეები (მომჩივანი და მოპასუხე/მოპასუხეები) ვალდებულნი არიან სააგენტოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდონ.

საქმის მოკვლევის წესის მე-6 მუხლით დადგენილია საქმის მოკვლევის დაწყების ან მის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, რომლის მიხედვითაც, სააგენტო კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, საჩივრის დასაშვებობის საკითხის შესწავლის შემდეგ, იღებს გადაწყვეტილებას საქმის მოკვლევის დაწყების ან მის დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე.

„განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანების (შემდგომში „განცხადების წარდგენის წესი") მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივარს შეისწავლის მისი შემოსვლიდან 30 დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 დღით. აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებად ცნობის ან მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ. კანონის 24-ე მუხლისა და საქმის მოკვლევის წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უარს ამბობს საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, მათ შორის, თუ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი.

უარის შესახებ გადაწყვეტილება საჩივრდება კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავით დადგენილი წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში.

კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პირს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს ამ კანონის დარღვევის თაობაზე, სააგენტოსათვის მიმართვის გარეშე.

3. სამოტივაციო ნაწილი

სააგენტოს პოზიციით, წარმოდგენილი საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყებისათვის, აუცილებელია, რომ კმაყოფილდებოდეს გონივრული ეჭვის სტანდარტი და ივარაუდებოდეს, რომ მომჩივნის მიერ მითითებულ დარღვევას მართლაც აქვს/ჰქონდა ადგილი. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან გასაჩივრებულია კანონის მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაძლო დარღვევა, სახეზე უნდა იყოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი შეღავათის დაწესების დასაბუთებული ვარაუდი, რომელმაც მას კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობა მიანიჭა და შეზღუდა კონკურენცია (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 5 სექტემბრის N04/248 ბრძანებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებაში, რომელიც შეეხებოდა სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ საჩივრის საფუძველზე წარმოებულ მოკვლევას საბანკო გარანტიებთან დაკავშირებით, სააგენტომ იმსჯელა და ერთმანეთისგან განასხვავა ტენდერები, რომლებიც ჩატარებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და ტენდერები, რომლებიც ჩატარებულია დონორების სახსრებით, მათ მიერვე წამოყენებული პირობების დაცვით.

ხსენებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნულია: „სუბიექტის კონკრეტული ქმედება კონკურენციის კანონის მე-10 მუხლის დარღვევად რომ შეირაცხოს, მას უნდა გააჩნდეს აღნიშნული ქმედების დამოუკიდებლად განხორციელების საშუალება. აქედან გამომდინარე, მიზანშეუწონელია მე-10 მუხლის დარღვევაზე საუბარი იქ, სადაც შესაბამისი სახელმწიფო ხელისუფლებისა თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო დამოუკიდებლად ვერ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და აღნიშნული გადაწყვეტილება (ამ შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციის შინაარსის განსაზღვრა) მთლიანად დამოკიდებულია გარეშე პირზე - დონორზე {...} გამონაკლისის სახით, დარღვევა სახეზე არაა იმ ტენდერის შემთხვევაში, რომელიც გამოცხადდა დონორის დაფინანსებით. ეს განპირობებულია იმით, რომ აღნიშნულ ტენდერთან მიმართებით არ გამოიყენება საქართველოს შესყიდვების კანონმდებლობა და სატენდერო პირობების დადგენა ხდება დონორის მხრიდან“.

საბოლოო ჯამში, ხსენებული მოკვლევის შედეგად, კონკურენციის სააგენტომ კანონის მე-10 მუხლის დარღვევად მიიჩნია სახელმწიფო შესყიდვებში მხოლოდ ბანკების მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიების მოთხოვნა, თუმცა, ზემოთმოყვანილი არგუმენტაციის გათვალისწინებით, გამონაკლისად ჩათვალა დონორების სახსრებითა და მათ მიერ წამოყენებული პირობებით გამოცხადებული ტენდერები.

როგორც ხსენებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი გარემოებების ნაწილშია მითითებული, განსახილველი ტენდერი, სრულად წარიმართა დონორის მიერ

დადგენილი პირობებით, მისივე სახელმძღვანელო წესების საფუძველზე და გზების დეპარტამენტის ყველა მოქმედება მასთან იყო შეთანხმებული. დეპარტამენტის მიერ ტენდერის რომელიმე ეტაპისა და პროცედურის დარღვევა გამოიწვევდა შესყიდვის პროცედურის არასწორ წარმართვას და დონორს შეეძლო უარი განეცხადებინა სესხის გამოყოფაზე, რაც არ მომხდარა. როგორც გზების დეპარტამენტის 2017 წლის 29 სექტემბრის N2-07/10646 წერილში ვკითხულობთ, „დეპარტამენტის მიერ ტენდერი წარიმართა დონორის შესყიდვის სახელმძღვანელოს პროცედურის დაცვით, ბანკთან შეთანხმებულ იქნა {...} ყველა დოკუმენტაცია, მათ შორის, ხელშეკრულების შესაბამისი პრეტენდენტისათვის მინიჭების საკითხი და შესაბამისად, დეპარტამენტმა მიიღო ბანკისგან თანხმობა ტენდერის ყველა ეტაპზე."

გზების დეპარტამენტის ხსენებული პოზიცია ასევე დასტურდება მომჩივანის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც. კერძოდ, სს „კონდოტე დაკვას" საჩივარში მითითებული აქვს ერთერთი მნიშვნელოვანი გარემოება, სადაც კომპანია უთითებს მსოფლიო ბანკის წარმომადგენლის ბ-ნი მუსტაფა ბერმაამარის წერილზე და ხაზს უსვამს: „მან გზების დეპარტამენტს განუმარტა, რომ ლიკვიდაციის გამო ამხანაგობა ვეღარ დააკმაყოფილებდა ტენდერში მონაწილეობისთვის საჭირო კრიტერიუმებს, ამიტომ კონტრაქტის მისთვის მინიჭება შეუძლებელი იყო."

თუმცა, ხაზგასასმელია, რომ საჩივარზე თანდართულ მუსტაფა ბერმაამარის წერილში, ნათლად არის გამოხატული, რომ ბანკი მზად არის განიხილოს გზების დეპარტამენტის რეკომენდაცია ხელშეკრულების მინიჭების თაობაზე მხოლოდ შპს „ასტალდისთვის" და ამავდროულად, მიუთითებს: „ჩვენ აგრეთვე გვესმის, რომ განხორციელებული სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე შპს „ასტალდი" დამოუკიდებლად შეესაბამება დადგენილ კრიტერიუმებს (იხილეთ დანართი №8). მიმოწერის მიხედვით, მუსტაფა ბერმაამარი, გზების დეპარტამენტის წარმომადგენლებს სთხოვს, გაუგზავნონ განახლებული „სატენდერო შეთავაზების შეფასების ანგარიში" საბოლოო თანხმობის მისაცემად, რაზედაც გზების დეპარტამენტისგან 2017 წლის 2 აგვისტოს ეგზავნება „სატენდერო შეთავაზების შეფასების ანგარიში", რის შემდგომაც, შპს „ასტალდი" გამარჯვებულად ცხადდება.

გზების დეპარტამენტის 2017 წლის 19 ოქტომბრის N2-07/11571 წერილში ასევე მითითებულია, რომ „შესყიდვის სახელმძღვანელო წარმოადგენს სახელმძღვანელო ინსტრუქციას დეპარტამენტისათვის, აგრეთვე, საკითხებზე, რომლებიც არ არის დარეგულირებული დონორის შესყიდვის სახელმძღვანელოთი (Procurement Guidelines) დონორი გადაწყვეტილებას იღებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განსახილველ საკითხთან დაკავშირებული სხვა დასხვა გარემოებებისა და ფაქტების გათვალისწინებით. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ბანკთან შესყიდვის ეტაპების შეთანხმებისას, შესყიდვის სახელმძღვანელოს შესაძლო დარღვევის დაფიქსირებას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას ახორციელებს ბანკი. სწორედ ამ მიზანს ემსახურება წინასწარი შეთანხმების (Prior Review) პროცედურა, რათა დეპარტამენტის მიერ არ მოხდეს შესყიდვის იმგვარად წარმართვა, რომელიც გამოიწვევს ბანკის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელოს გვერდის ავლას. {...} დეპარტამენტის მიერ შესყიდვის ეტაპების შეთანხმებისას, ასევე კონტრაქტის მინიჭების შეთანხმებისას, ბანკს არ შეუმჩნევია, რომ დეპარტამენტის მიერ რაიმე სახით იყო დარღვეული სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია ბანკის მიერ".

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი ანალიზის შედეგად, ცხადი ხდება, რომ განსახილველ ტენდერში პირობების დადგენა, პროცედურების დაცვის კონტროლი და გამარჯვებულის გამოცხადება განხორციელდა დონორის პირობებით და მასთანვე შეთანხმებით. ამდენად, საქმე გვაქვს მოცემულობასთან, რომელიც სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 5 სექტემბრის N04/248 ბრძანებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებაში არის განხილული და შეფასებული, როგორც კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან გამონაკლისი.

შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სს „კონდოტე დაკვას“ საჩივარი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაძლო დარღვევის შესახებ ვერ აკმაყოფილებს გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით არ არის განმარტებული გონივრული ეჭვის სტანდარტი. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს, როგორც კონკურენციის სამართლის აღმასრულებელ და კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს, უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა განცხადება/საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს. ამასთან, სააგენტო ყურადღებით აფასებს განცხადებაში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს განცხადების დასაბუთებულობას. კერძოდ, თუ რამდენად შეიცავს განცხადება კონკურენციის კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის მტკიცებულებებს და რომელი ზიანის თეორია იკვეთება. გარდა ამისა, სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია შეზღუდული ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევის შედეგად მეტად სავარაუდოა სამართალდარღვევის დადგენა. საბოლოოდ, ფასდება მოპასუხის/მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი საპირწონე არგუმენტები და მტკიცებულებები, ისევე როგორც საჯარო წყაროებიდან მოპოვებული სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა საქმისათვის გამოსადეგი იყოს, და გადაწყვეტილება დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის შესახებ გამოდის სააგენტოში მოგროვილი ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს, დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია მესამე პირებისგან. აღნიშნული ინფორმაციის ერთობლიობის საფუძველზე, სააგენტო დაადგენს, არსებობს თუ არა გონივრული ეჭვი, რომელიც გაამართლებდა მოკვლევის დაწყებას.

ვინაიდან საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში არ არის განმარტებული გონივრული ეჭვი, სააგენტო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყურადღებას აქცევს ევროკომისიის პრაქტიკასა და ანალოგიური ტერმინის ევროპულ განმარტებას.

ევროკომისიის ნოტა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ განმარტავს, რომ “კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების ფაზას. ამ ფაზის დროს, კომისია ამოწმებს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ მოკვლევას [...]“. ასევე, „პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ ზოგიერთი საქმე

შეწყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ისინი არ იმსახურებენ შემდგომ შესწავლას.“

ევროკომისიის ნოტა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 81-ე და 82-ე მუხლების შესაძლო დარღვევის შესახებ საჩივრებზე რეაგირების შესახებ განმარტავს, რომ „საჩივრის მიღების პირველ ეტაპზე, კომისია შეისწავლის საჩივარს და აგროვებს დამატებით ინფორმაციას, იმის გადასაწყვეტად, თუ რას მოიმოქმედებს შემდგომ. ამ დროს ხდება ინფორმაციის არაფორმალური გაცვლა კომისიასა და საჩივრის ავტორს შორის, სადაც უფრო დეტალურად დგინდება საჩივარში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები და იურიდიული საკითხები. ამ დროს, კომისიას შეუძლია, უკვე გამოხატოს პირველადი პოზიცია საჩივრის შესახებ, რაც საშუალებას მისცემს საჩივრის ავტორს, განავრცოს ან/და დააზუსტოს იგი.“

ზემოხსენებული ნოტა ასევე იმეორებს, რომ „ევროკომისია არ არის ვალდებული, ყველა საჩივრის შესახებ მოკვლევა დაიწყოს“ და რომ „იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებს ფორმა C-ის მოთხოვნებს, მაგრამ საკმარისად ვერ ასაბუთებს მასში აღნიშნულ ბრალდებებს, კომისიას ამ საფუძვლით მისი უარყოფა შეუძლია.“

და ბოლოს, კონკრეტული საჩივრის უარყოფა არ ნიშნავს იმის დადგენას, რომ საჩივარში დასმული საკითხები (მატერიალური კუთხით) არ არღვევს კონკურენციის კანონმდებლობას. ეს უბრალოდ ნიშნავს, რომ კომისიამ ამ ეტაპზე აღნიშნული საჩივარი დაუსაბუთებლად ჩათვალა, რაც არ გამორიცხავს მოგვიანებით კომისიის, ეროვნული კონკურენციის ორგანოს ან სასამართლოს მიერ იმავე საფუძვლით დარღვევის დადგენას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ განცხადება ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტებს (მათ შორის, გონივრული ეჭვის სტანდარტს) და მის საფუძველზე, ამ ეტაპზე მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

ამასთანავე, სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჩივრის დასაშვებობაზე უარის თქმა არ ნიშნავს, რომ სააგენტო მხედველობაში არ იღებს მასში მითითებულ ფაქტებს. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ საჩივრის დაუშვებლად ცნობა არ უთანაბრდება მასში მოყვანილი შესაძლო სამართალდარღვევის არარსებობის შესახებ დასკვნას. სააგენტო, ნებისმიერ დროს, გონივრული ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, როგორც ახალი განცხადების/საჩივრის, ასევე საკუთარი ინიციატივით, უფლებამოსილია დაიწყოს მოკვლევა შესაბამის ბაზარზე.

4. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების, 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა

და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. სს „კონდოტე დაკვას“ 2017 წლის 4 სექტემბრის საჩივარი არ იქნას დასაშვებად ცნობილი.
2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.
3. სააგენტოს გადაწყვეტილების თაობაზე 3 სამუშაო დღის ვადაში ეცნობოს მომჩივანს.
4. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).
5. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ნოდარ ხადური

თავმჯდომარე